



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველოს თვრის მომოხილვა

2025

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საგარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი	10
ფულადი ბაზარი	13
მონეტარული აგრეგატები	14


“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია


ივლისში წლიურმა ინფლაციამ 4.3% შეადგინა, ხოლო ივნისთან შედარებით ფასები 0.2%-ით შემცირდა. ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით დიდწილად სურსათის ფასები მოქმედებს. თავის მხრივ, სურსათის გაძვირება ნაწილობრივ საბაზო ეფექტს უკავშირდება. გასულ წელს სურსათი ძირითადად დეფლაციური იყო. ამას გარდა, საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო ნედლეულის ფასები წინა წელთან შედარებით მალაღონეზე ნარჩუნდება, რაც ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცემა. ამასთანავე, როგორც წინა თვის ანგარიშში აღინიშნა, საერთაშორისო ფაქტორებთან ერთად, ადგილობრივი სურსათის ფასების ზრდას დიდწილად პურის ერთჯერადი გაძვირება განაპირობებს¹. ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით საწვავის ფასების წლიური გაიფხვება მოქმედებს, რაც საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასების ტენდენციის ასახვაა. ამავდროულად, ივლისის ინფლაციაში ინტერნეტის გადასახდელის დისინფლაციური ეფექტი განახევრდა, ხოლო აგვისტოდან სრულად ამოვარდება.

საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალაღონეზე ნარჩუნდება სურსათის, ენერგომომარებულების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, მიმდინარე წელს სტაბილურია. ივლისში საბაზო ინფლაციამ 2.2% შეადგინა. საბაზო ინფლაციაზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შედარებით გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობის შესაფასებლად.

თვის ინფლაცია -0.2% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 4.3% (მნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ივლისში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში მეტ-ნაკლებად გამოსარჩევი სურსათის ფასების სეზონური ცვლილებებია. აღსანიშნავია ბენზინის 3.7%-იანი გაძვირება, რამაც თვის ინფლაცია 0.1 პროცენტული პუნქტით (პპ) გაზარდა.

წლიურ ჭრილში, როგორც აღინიშნა, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად სურსათის გაძვირება მოქმედებდა. სურსათი გასულ წლის ივლისთან შედარებით 10.3%-ით გაძვირდა. ამრიგად, ივლისის 4.3%-იანი ინფლაციიდან 3.2 პპ სურსათზე მოდის, ხოლო აქედან, 1.7 პპ კარტოფილის, პურის, ზეთის და იმერული ყველის გაძვირებაზე. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის 9.5%-იანი ინფლაცია, რამაც მთლიან ინფლაციაში 0.8 პპ -იანი წვლილი შეიტანა.


საწვავისა და ინტერნეტის გაიფხვება წლიური ინფლაცია შესაბამისად, 0.4 პპ და 0.2 პპ-ით შემცირდა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივად და შერეულად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ შესაბამისად 5.4% და 7.5% შეადგინა. წლიურ დონეზე ადგილობრივი ინფლაციის მატება ყველაზე მეტად პურის და ყველის გაძვირებამ გამოიწვია. მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, ივლისში 3.0%-ს გაუცოლდა. შერეული ინფლაციის მატება ყველაზე მეტად კარტოფილის და მზესუმზირის ზეთის გაძვირებას უკავშირდება. იმპორტირებულ პროდუქტებში დიდწილად საწვავის წლიური გაიფხვების გავლენით 1.6%-იანი დეფლაცია დაფიქსირდა.

¹ 2025 წლის მარტში პურის ფასის ერთჯერადი გაძვირება 2026 წლის მარტამდე საბაზო ეფექტით აისახება ინფლაციაზე.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში




ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2025 წლის წონები	ივლ25/ივლ25		ივლ25/ივლ24	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	-0.2%	-0.2%	4.3%	4.3%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	34.5%	-0.4%	-0.1%	10.4%	3.5%
სურსათი	31.7%	-0.4%	-0.1%	10.4%	3.2%
პური და პურპროდუქტები	6.9%	-0.7%	0.0%	8.7%	0.6%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	0.2%	0.0%	4.5%	0.3%
თევზი	0.5%	1.8%	0.0%	9.9%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.1%	-0.3%	0.0%	8.5%	0.5%
ზეთი და ცხიმი	2.9%	-0.8%	0.0%	17.0%	0.5%
ხილი, ყურძენი	1.7%	3.1%	0.1%	8.2%	0.2%
ბოსტნეული, ბალახი, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	-6.6%	-0.2%	25.5%	0.7%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.9%	2.9%	0.1%	7.7%	0.2%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.4%	0.0%	3.8%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	-0.1%	0.0%	10.8%	0.3%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	-0.4%	0.0%	3.7%	0.2%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.7%	-4.1%	-0.2%	-2.8%	-0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.8%	-0.2%	0.0%	0.8%	0.1%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	0.0%	0.0%	-1.4%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.1%	-0.1%	0.0%	9.5%	0.8%
ტრანსპორტი	10.9%	1.8%	0.2%	-3.8%	-0.4%
კავშირგაბმულობა	3.2%	-0.1%	0.0%	-6.9%	-0.2%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.8%	-0.4%	0.0%	-1.4%	-0.1%
განათლება	5.4%	0.0%	0.0%	4.6%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	0.9%	0.0%	6.7%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	4.7%	0.3%	0.0%	5.5%	0.3%
მოკლევადიანი მოხმარების საქონელი	60.8%	-0.1%	-0.1%	6.1%	3.7%
საშუალოვადიანი მოხმარების საქონელი	8.1%	-1.9%	-0.1%	-2.9%	-0.2%
ხანგრძლივადიანი მოხმარების საქონელი	5.2%	-0.5%	0.0%	-1.0%	-0.1%
მომსახურება	25.9%	0.3%	0.1%	3.0%	0.8%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


ივნისში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად, 5.9 მლრდ ლარით, 10.8%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით კი 11.6%-ით გაიზარდა) და 60.8 მლრდ ლარი შეადგინა. თვის წრიულში კი 1.8 მლრდ ლარით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 1.6 მლრდ ლარით (5.4%-ით) გაიზარდა და 30.6 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, იურიდიული პირების დეპოზიტების მატებამ (540.0 მლნ ლარით) განაპირობა. რაც შეეხება, უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, 0.3 მლრდ ლარის ზრდა დააფიქსირა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ივნისში, დეპოზიტების საშუალო შენობილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით გაიზარდა და 6.0%-ს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შენობილი წლიური საპროცენტო განაკვეთი უცვლელად შენარჩუნდა 7.5%-ზე. უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 1.9%-მდე შემცირდა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 11.1% შეადგინა. შემცირდა როგორც დოლარის, ისე ევროს ვადიანი განაკვეთები. კერძოდ, დოლარის შემთხვევაში 0.3 პპ-ით 2.6%-მდე, ხოლო ევროს - 0.1 პპ-ით, 1.4%-მდე.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების დოლარიზაცია ივნისში წინა თვესთან შედარებით 1.2 პპ-ით შემცირდა და 49.7% შეადგინა. ივნისის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.7 პპ-ით, 64.4%-მდე, ხოლო იურიდიული პირების დოლარიზაცია 0.6 პპ-ით, 39.2%-მდე, შემცირდა. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, ივნისში, წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით, 61.5%-მდე, შემცირდა.

**დამოუკიდებელი დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდებულებების დამოუკიდებელი დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ივნისში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდის ტემპი 0.5 პპ-ით გაიზარდა და 15.6% შეადგინა. აღნიშნული, მეცნილად, უცხოური ვალუტის დაკრედიტების ზრდის ტემპის მატებამ განაპირობა. ეროვნული ვალუტით დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი წინა თვის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 0.6 პპ-ით შემცირდა და 19.9%-ით შეადგინა. ხოლო, მთლიანი სესხების ზრდაში 10.9 პპ წვლილი შეიტანა. აღსანიშნავია, რომ მიზნობრიობის ქრილში, წინა თვესთან შედარებით, ბიზნესის სესხების წვლილი მთლიანი სესხების ზრდაში 0.5 პპ-ით გაიზარდა და 8.3 პპ შეადგინა.

**სასხაების წლიური ზრდის ტემპი
(წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სასხაები მიზნობრიობის მიხედვით
(წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში, სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.3 პპ-ით შემცირდა და 13.5% შეადგინა. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 9.4%-ს გაუტოლდა, ხოლო ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით, 15.8%-მდე, შემცირდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე
გაცემულ სესხებზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ით გაიზარდა და 13.7% შეადგინა. ხოლო, იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, 13.1%-ზე შენარჩუნდა. საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 9.6%-მდე გაიზარდა. ხოლო, უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 8.0%-მდე შემცირდა.


ივნისში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 43.1%-ის ნიშნულზეა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით, 64.0%-მდე შემცირდა, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია უცვლელად 24.2%-ზე შენარჩუნდა. ივნისში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 17.5 მლნ ლარით შემცირდა და 550.2 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 42.9% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქონლის სექტორი


ივნისში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 6.2%-ით გაუმჯობესდა და 732.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მოცემულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 0.9%-ით გაიზარდა, 1.4 მლნ აშშ დოლარამდე, ხოლო ექსპორტი 10.4%-ით გაიზარდა და 640.2 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა. აქედან, მსუბუქი ავტომობილების რექსპორტის კონტრიბუციამ 8.3 პპ შეადგინა. იანვარ-ივნისში, იმპორტის ერთჯერადი ფაქტორების გამორიცხვით², სავაჭრო დეფიციტი 1.1%-ით გაიზარდა. იმავე პერიოდში, საქონლის იმპორტი წლიურად 5.8%-ით, ადგილობრივად მოხმარებული იმპორტი 2.1%-ით, ექსპორტი 13.7%-ით, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი 6.4%-ით გაიზარდა.

საქონლის მსაჭრე-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი

სავაჭრო ბალანსი ძველნების მიხედვით (ივნისი 2025)



წყარო: საქსტატი


იმპორტი - ივნისში საქონლის იმპორტი წლიურ წრეში 0.9%-ით გაიზარდა. ზრდის მიმართულებით ძირითადად შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტი მოქმედებდა, 4.0 პპ კონტრიბუციით. სამომხმარებლო საქონლის უარყოფითი წვლილი-3.0 პპ იყო, ხოლო საინვესტიციო საქონლის შედარებით უმნიშვნელო უარყოფითმა კონტრიბუციამ 0.2 პპ. შეადგინა.

შუალედური მოხმარების საქონლის ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია სამედიცინო დანიშნულების საქონელს ქონდა. ასევე გაზრდილია მანგანუმის მადნების და არმატურის იმპორტი.

სამომხმარებლო საქონლის იმპორტის კლებაში წამყვანი წვლილი მსუბუქ ავტომობილებს ჰქონდა (-6.8 პპ). საინვესტიციო საქონლის იმპორტის შემცირებაში კი კომპიუტერულ ტექნიკას (-2.2 პპ).


² იანვარში შემოდანილი ხელოვნების ნიმუშების გამორიცხვით

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)



წყარო: საქსტატი

ქვეყნების ჯგუფის წილი, ივნისის იმპორტში ევროკავშირის ქვეყნების წვლილი -1.7 პპ შეადგინა.

აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო წილში კი კლებას ძირითადად მსუბუქი ავტომობილების იმპორტის შემცირება განაპირობებდა, რომელიც ძირითადად გერმანიიდან ხორციელდება. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში 24.0%-დან 17.5%-მდე შემცირდა. საპირისპიროდ, გაიზარდა ფარმაცევტული ნაწარმის იმპორტი. ასევე გაზრდილია ნავთობპროდუქტების იმპორტი, რომელიც ძირითადად ბულგარეთიდან და რუმინეთიდან განხორციელდა. შედეგად, ევროკავშირის წილი ნავთობპროდუქტების იმპორტში მცირედით გაიზარდა.

ქვეყნებს შორის იმპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი ჩინეთს და რუსეთს ქონდა, ხოლო კლების მიმართულებით წამყვანი იყო იაპონია და გერმანია (მსუბუქი ავტომობილები).

ჩინეთიდან გაზრდილია კომპიუტერული ტექნიკის იმპორტზე დანახარჯები, ასევე გაზრდილია სამრეწველო და კვების პროდუქტების იმპორტი.

რუსეთიდან იმპორტზე დანახარჯები ყველაზე მეტად გაიზარდა არმატურისა და სამრეწველო დანადგარების ხარჯზე. ასევე გაზრდილია საკვების და ზოგიერთი საინვესტიციო და შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტი. ხოლო ნავთობპროდუქტები კლების მიმართულებით მოქმედებდა.


აშშ-დან იმპორტის კლება მსუბუქი ავტომობილების 6.2% წლიურ კლებას უკავშირდება.

თურქეთიდან გაზრდილი იმპორტი ნახშირბადოვანი ფოლადის ნაწარმის და ნავთობპროდუქტების იმპორტს უკავშირდება. ხოლო მსუბუქ და საცხირო ავტომობილების იმპორტზე დანახარჯები შემცირებულია.

აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 76.5% მოდიოდა.


აღსანიშნავია, რომ პროდუქტების წილში, ივნისში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილების, ნავთობპროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების იმპორტს ეკავა. მაღალი წილის მიუხედავად, მსუბუქ ავტომობილებს და ნავთობპროდუქტებს კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი ჰქონდათ.

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (ივნისი 2025)



წყარო: საქსტატი


საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი


ექსპორტი - ივნისში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 10.4%-ით გაიზარდა და 640.2 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა. ექსპორტის ზრდა განპირობებული იყო საშემსარებლო საქონლის ექსპორტის ზრდით. საშემსარებლო საქონლის ჯგუფიდან ყველაზე დიდი პოზიციური წვლილი მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტს ჰქონდა, 8.3 პპ. ასევე გაზრდილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ღვინის და ლიმონათების ექსპორტი. შუალედური მოხმარების საქონლის ექსპორტში, ყველაზე მეტად ფეროშენადნობების ექსპორტი შემცირდა, ხოლო ძვირფასი ლითონების მადნების ექსპორტი გაზრდილია. საინვესტიციო საქონლის ექსპორტის კლება სხვადასხვა სამრეწველო საქონლის რეექსპორტის კლებას უკავშირდება.

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (ივნისი 2025)



წყარო: საქსტატი

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (ივნისი 2025, წილი ექსპორტში)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საქსპორტო შემოსავლების ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი ყირგიზეთს უკავშირდებოდა, რაც ძირითადად მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტით იყო განპირობებული. თუმცა საქსპორტო შემოსავლები შემცირებულია თურქეთიდან და სომხეთიდან.

რუსეთში, გასული თვეების კლების შემდეგ, გაზრდილია ღვინის ექსპორტი. ასევე, ზრდის მიმართულებით პოზიციური წვლილი შეიძლება ხილის ექსპორტმა.

ჩინეთიდან საქსპორტო შემოსავლების ზრდა ძვირფასი ლითონების მადნებს უკავშირდება.

თურქეთიდან მიღებული საქსპორტო შემოსავლების შემცირება ძირითადად ფეროშენადნობებისა და ელექტროენერგიის გაყიდვების კლებას უკავშირდება.

ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული საქსპორტო შემოსავლების პოზიციურმა წვლილმა 2.8 პპ შეადგინა.

წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტის დივერსიფიკაცია უმნიშვნელოდ იყო შემცირებული.


ივნისში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (37.9%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. ძირითადი საქსპორტო პროდუქტებიდან, ავტომობილების გარდა, გაიზარდა ძვირფასი ლითონების მადნებისა და ღვინის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი.

წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

ფულადი გზავნილები - ივნისში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 12.2%-ით, 315.5 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 21.8%-ით, 34.3 მლნ აშშ დოლარამდე. ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია ევროკავშირიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა (7.4 პპ) შეიძლება წლიური 17.3%-იანი ზრდით. 23.0%-ით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები (კონტრიბუცია 3.9 პპ). რუსეთის უარყოფითი კონტრიბუცია ივნისში 2.8 პპ გაუცოლდა.


ივნისში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (44.4%), აშშ (18.6%) და რუსეთი (13.0%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (16.4%), გერმანიის (8.6%) და საბერძნეთისა (8.1%) მაღალი წილი.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (ივნისი 2025)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპალუტო ბაზარი


ივნისში წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7424-დან 2.7288-მდე (0.5%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ - 3.0976-დან 3.1393-მდე (1.3%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7236 და 3.1882 შეადგინა. საანგარიშო პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7334 იყო, მინიმალური კი - 2.7236.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა თანაბრად იყო გადახრილი.


ივნისში, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია თურქული ლირის გაუფასურება როგორც თვის, ისე წლის ქრილში; შესამჩნევად გამყარდა რუსული რუბლი და ევრო, ასევე გამყარებით ხასიათდებოდა სომხური დრამი და ლარი; აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების თვიური ცვლილება დოლართან მიმართებით (ივნისი 2025; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 1.6%-ით, თვის ქრილში კი 0.5%-ით გაუფასურდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, წლიურად 3.6%-ით გამყარდა, თვის ქრილში კი 0.1%-ით გაუფასურდა.

ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება.

სავაჭრო პარტნიორთაგან ივნისში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, ბელარუსსა და აზერბაიჯანში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო სომხეთში, აშშ-სა და ევროზონაში - დაბალი.


ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალი ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვარი 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპატრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (ივნისი 2025)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


ივნისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 კომერციული ბანკი, 2 მიკრობანკი და 6³ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით, თვითრად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტულობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპატრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ივნისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაზრდილია როგორც წლიურად, ასევე თვითრად. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 512.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 194.3 მლნ აშშ დოლარით, წინა წლის ივნისთან შედარებით კი - 206.8 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 7.8%-ით გაიზარდა, წლიურად კი 38.5%-ით შემცირდა.

საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ⁴ გარიგებებით ხდებოდა (96.3%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,503.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 433.8 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის წრიულში 71.5 მლნ აშშ დოლარით. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 7.6% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წილიდან შესყიდვამ 266.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

³ რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.


⁴ სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტურიებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე წლიურ წრილში გაზრდილია როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება.

საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ივნისში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 262.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრილში 6.3 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,774.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 170.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 77.8 მლნ აშშ დოლარით) და 1,729.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.


ივნისში სავალუტო ფორვარდ⁵ გარიგებებით (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციული ბანკებისა და სხვა ეკონომიკური აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 58.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრილში - 95.2 მლნ აშშ დოლარით) და 135.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებზე, ასევე იურიდიულ პირებზე, ხოლო მცირე ნაწილი შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა გაყიდვამ 94.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორის საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტა და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 103.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა შეძენა, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.

⁵ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების მკვეთრებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

ივნისში სადებოზიციო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიციო სერტიფიკატი გაიყა. ამავ პერიოდში 20 მლნ ლარის სადებოზიციო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


ივნისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 220.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ივნისში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი, რვანწლიანი და ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 60, 50 და 30 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 185.3 მლნ ლარით გაიზარდა და 10,412.0 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 73.0%-ს კომერციული ბანკების, 12.2%-ს ეროვნული ბანკის, 13.5%-ს რეზიდენტების, ხოლო 1.3%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადებოზიციო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში სადებოზიციო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები არ შეცვლილა. სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები კი ძირითადად შემცირდა, ხოლო სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. კერძოდ, ივნისში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 7.4%-ზე შენარჩუნდა. ასევე უცვლელად შენარჩუნდა ექვსთვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები და 7.4% შეადგინა. ხოლო ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა 0.2 პპ-ით, 7.3%-მდე. თუმცა სამწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები 0.1, 0.3 და 0.3 პპ-ით გაიზარდა და შესაბამისად, 9.0%, 9.1% და 9.7% შეადგინა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვიურად 2,660.1 მლნ ლარით (წლიურად 1,793.0 მლნ ლარით) 21,450.7 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეცნილად უცხოური ვალუდის რესურსით ზრდით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუდის ბრუნვაზე მოდის (87.0%), რომლის მოცულობაც თვიურად 2,597.2 მლნ ლარით (16.2%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვიურად 62.9 მლნ ლარით (2.3%-ით).

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი თვის წრილში არ შეცვლილა და 7.8%-ზე შენარჩუნდა. ასევე უცვლელად შენარჩუნდა უცხოური ვალუდის რესურსზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, 2.2%-ზე.

აღსანიშნავია, რომ ივნისში ფულადი ბაზრის რესურსის 24.8% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 77.8% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული აბრეგადები

ივნისში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 346.1 მლნ ლარით (4.5%-ით) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 7.4 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა, საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, წინა თვესთან შედარებით, 216.1 მლნ ლარით (2.8%-ით) შემცირდა.

ივნისში, სავალუტო აუქციონებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა თვის განმავლობაში 266.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 54.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 211.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.


ივნისში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 53.7 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 939.1 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება
კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ივნისში, ნაღდ ფულზე მოთხოვნა 228.0 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხი, წინა თვესთან შედარებით, 186.00 მლნ ლარით შემცირდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 715.0 მლნ ლარით შემცირდა. ივნისში, განთავსდა 20.0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატი და იმავე პერიოდში დაიფარა იგივე ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, ივნისში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 901.0 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 6,290.5 მლნ ლარს გაუცოლდა.


ივნისში, ფართო ფულის (M3) მოცულობა, თვიურად 1,310.5 მლნ ლარით გაიზარდა. რაც შეეხება, ფართო ფულის M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 970.0 მლნ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

